ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6279233

ნომერი: AR1941980

თარიღი : 27.12.2022

გაცემის თარიღი : 10.01.2023

გაცნობის თარიღი : 11.01.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, შალვა ნუცუბიძის ქუჩა N125ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ქევანიშვილი პ/ნ 60002009962
- ქ. თბილისი წყალტუბოს ქ. I კორპუსი ბ.#34

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 20 მაისის №5946799 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 27 დეკემბერს №AR1941980 განცხადებით მომართა გიორგი ქევანიშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2022

წლის 20 მაისის №5946799 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება დამკვეთის მითითების ნაწილში.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2022 წლის 20 მაისის №5946799 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, შალვა ნუცუბიძის ქუჩა №125ა-ში მდებარე №01.14.02.025.248 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 5 მარტის N83 განკარგულების საფუძველზე დამუშავებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა, მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2022 წლის 20 მაისიდან 2023 წლის 20 იანვრის ჩათვლით.
სამსახურის 2022 წლის 20 დეკემბრის №6256874 ბრძანებით შევიდა ცვლილება სამსახურის 2022 წლის 20 მაისის №5946799 ბრძანებაში მშენებლობის ვადის მითითების ნაწილში და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 20 ივნისის ჩათვლით.
წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილია სამსახურის 2022 წლის 20 მაისის №5946799 ბრძანებაში დამკვეთის ინფორმაციის ველში შპს „ოპტიმას“ ნაცვლად შპს „მ2 ნუცუბიძეზე 2“-ის დაფიქსირება, ვინაიდან აღნიშნული ბრძანების გამოცემის მომენტისთვის №01.14.02.025.248 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენდა არა შპს „ოპტიმა“ (ს/ნ: 405160819) არამედ შპს „მ2 ნუცუბიძეზე 2“ (ს/ნ: 405374982).
სამსახურმა დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ შპს „მ2 ნუცუბიძეზე 2“-ის მინდობილი პირის გიორგი ქევანიშვილის 2022 წლის 11 მაისის №AR1897457 განცხადებით მოთხოვნილ იქნა, №01.14.02.025.248 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა. სამსახურის 2022 წლის 20 მაისის №5946799 ბრძანებით მოთხოვნა დაკმაყოფილდა, თუმცა ტექნიკური შეცდომის შედეგად დამკვეთის ინფორმაციის ველში არასწორად დაფიქსირდა ორგანიზაციის სახელწოდება და მისი საიდენტიფიკაციო კოდი.
საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია – №882022277697, მომზადების თარიღი: 27/04/2022 წ.) თანახმად №01.14.02.025.248 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს, როგორც სამსახურის 2022 წლის 20 მაისის №5946799 ბრძანების გაცემის, ისე დღევანდელი მდგომარეობით წარმოადგენდა/წარმოადგენს შპს „მ2 ნუცუბიძეზე 2“ (ს/ნ: 405374982).
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 20 მაისის №5946799 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 20 მაისის №5946799 ბრძანებაში და დამკვეთის ინფორმაციის ველში: „ორგანიზაციის (არსებობის შემთხვევაში)“ გრაფაში შპს „ოპტიმას“ ნაცვლად დაფიქსირდეს შპს „მ2 ნუცუბიძეზე 2“. ხოლო, საიდენტიფიკაციო კოდის გრაფაში: „405160819“ ნაცვლად დაფიქსირდეს „405374982“.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 20 მაისის №5946799 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 20 მაისის №5946799 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.